საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

25/11/2025

MES 5 25 0001676067

გადაწყვეტილება

,,სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 17 აპრილის №440599 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №1675029, 25.11.2025) დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ,,სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 17 აპრილის №440599 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და გადაწყვეტილების დანართ №1-ის მე-18 პუნქტში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 25 ნოემბრის სხდომის № 1675029 ოქმის № 11 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან